საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერთა სტიპენდიის ოდენობა, გაცემის კრიტერიუმები და წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში (შემდგომში - აკადემია) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერთა (შემდგომში - იუნკერი) სტიპენდიის ოდენობა, გაცემის კრიტერიუმები და წესი განისაზღვრება წინამდებარე დოკუმენტით, რომელიც ადგენს იუნკერის სემესტრული რეიტინგული შეფასების გამოთვლის მეთოდოლოგიას, სტიპენდიის ოდენობას, გაცემის კრიტერიუმებს და სტიპენდიის გაცემის ვადებს.

მუხლი 2. იუნკერის სემესტრული რეიტინგული შეფასების გამოთვლის მეთოდოლოგია

1. სემესტრული რეიტინგული შეფასების გამოთვლის მიზნით, განისაზღვრება სემესტრული რეიტინგული ქულის შემადგენლობა შემდეგი შეფასებებით:

ა) **აკადემიური მოსწრების საშუალო ქულა**, რომელიც წარმოადგენს იუნკერის მიერ სასწავლო სემესტრის განმავლობაში თითოეულ საგანში მიღებული შეფასებების საშუალო მაჩვენებელს. აკადემიური მოსწრების საშუალო ქულა გამოითვლება თითოეულ საგანში მიღებული სემესტრული შეფასებისა და საგნის კრედიტის გათვალისწინებით. აღნიშნული ქულის გამოთვლის მიზნით, ყოველი საგნის სემესტრული შეფასება მრავლდება საგნის კრედიტზე და მიღებული ნამრავლების ჯამი იყოფა მოცემული სემესტრის საგნების კრედიტების ჯამზე;

ბ) **ლიდერობის შეფასების ქულა** განისაზღვრება აკადემიის იუნკერთა სასწავლო ბატალიონის ,,იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემის“ შესაბამისად.

2. იუნკერის სემესტრული რეიტინგული ქულა გამოითვლება აკადემიური მოსწრების საშუალო ქულისა და მისი კოეფიციენტის (0,6) ნამრავლს დამატებული ლიდერობის შეფასების ქულა და მისი კოეფიციენტის (0,4) ნამრავლი.

3. იუნკერის სემესტრული რეიტინგული ქულა დისტანციური სწავლების პერიოდში გამოითვლება მხოლოდ აკადემიური მოსწრებით.

მუხლი 3. სტიპენდიის ოდენობა სტიპენდიის გაცემის კრიტერიუმები, წესი და ვადები

1. იუნკერს, რომელიც წარმატებით გაივლის აკადემიის იუნკერთა საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) კურსს, აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 კურსამდე (მე-6 სემესტრის ჩათვლით) და სამხედრო სწავლების პერიოდში, სრული კალენდარული წლის განმავლობაში, ყოველთვიურად მიეცემა სტიპენდია 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტიპენდიასთან ერთად, იუნკერზე ყოველთვიურად, სრული კალენდარული წლის განმავლობაში დამატებით გაიცემა შესაბამისი სტიპენდია რანჟირების საბოლოო დოკუმენტის N1 დანართის მიხედვით.

3. სტიპენდიის გაცემის წესი განისაზღვრება შემდეგი პროცედურის დაცვით:

ა) ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპნქტით განსაზღვრულ ლიდერობის შეფასების ქულას, აკადემიის იუნკერთა სასწავლო ბატალიონი აწვდის აკადემიის საგამოცდო ცენტრს;

ბ) ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებს, სტიპენდიის ოდენობის განსაზღვრის მიზნით, საგამოცდო ცენტრი გადასცემს აკადემიის შტაბის G-3/G-2 სამსახურის სამოქალაქო მიმართულების სასწავლო განყოფილებას;

გ) იუნკერის სემესტრული რეიტინგული ქულის გამოთვლას და იუნკერთა რანჟირებას ახორციელებს აკადემიის საგამოცდო ცენტრი;

დ) ამ წესის N1 დანართში განსაზღვრული ფიზიკური მომზადების ჯამურ ქულას აკადემიის სპორტისა და ფიზიკური მომზადების განყოფილება აკადემიის იუნკერთა სასწავლო ბატალიონთან შეთანხმებით გადასცემს აკადემიის შტაბის G3/G2 სამსახურის სამოქალაქო მიმართულების სასწავლო განყოფილებას;

ე) ამ წესის N1 დანართში გათვალისწინებული საკრედიტო ქულების შესახებ ინფორმაციას აკადემიის შტაბის G3/G2 სამსახურის სამოქალაქო მიმართულების სასწავლო განყოფილებას აწვდის იუნკერთა სასწავლო ბატალიონი;

ვ) იუნკერზე გასაცემი სტიპენდიების შესახებ რანჟირების საბოლოო დოკუმენტი, აღნიშნული სტიპენდიის გაცემის უზრუნველყოფის მიზნით, აკადემიის შტაბის G-3/G-2 სამსახურის სამოქალაქო მიმართულების სასწავლო განყოფილების მიერ ეგზავნება აკადემიის შტაბის ფინანსების მართვის სამმართველოს.

4. ამ წესის N1 დანართში განსაზღვრული იუნკერის ფიზიკური მომზადების ჯამური ქულის გამოთვლისას, თუ შეუძლებელია მიმდინარე სემესტრში ფიზიკური მომზადების ქულის განსაზღვრა, გამოყენებული უნდა იქნეს ფიზიკური მომზადების ბოლო საკვალიფიკაციო ტესტირების შედეგები.

5. ამ წესის N1 დანართში განსაზღვრული იუნკერის ფიზიკური მომზადების ჯამური ქულის გამოთვლისას, თუ იუნკერს ჯერ არ მიუღია ფიზიკური შეფასების შედეგი და არ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ფიზიკური მომზადების ბოლო საკვალიფიკაციო ტესტირების შედეგები, მხედველობაში არ მიიღება ფიზიკური მომზადების ჯამური ქულა. ამ შემთხვევაში, იუნკერის შედეგების ასახვა დამატებითი სტიპენდიის რანჟირების დოკუმენტისათვის უნდა მოხდეს მხოლოდ სემესტრული რეიტინგული ქულისა და საკრედიტო ქულის შესაბამისად.

6. მე-4 კურსის იუნკერს აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრებამდე, სრული კალენდარული წლის განმავლობაში, ყოველთვიურად მიეცემა სტიპენდია 1200 (ათასორასი) ლარის ოდენობით.

7. ამ წესით განსაზღვრული სტიპენდიები არ მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.